JA Georgia | Member of JA Worldwide

მემორანდუმი
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი **9 თებერვალი, 2023 წელი**

ა(ა)იპ „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო“, (ს/კ 204997922) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გეგეშიძის სახით და **სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (ს/კ 245628496), წარმოდგენილი მისი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის სახით (შემდგომში "მხარეები"), ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა განათლების მიმართულებით.

2. მემორანდუმის მიზანი

ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების/პროექტების განხორციელება, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლების, ჯანსაღი თაობის ფორმირებისა და პიროვნული განვითარების სრულყოფისაკენ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მემორანდუმის მიზნების მისაღწევად, მხარეები უზრუნველყოფენ:

3.1. ერთობლივი პროექტების განხორციელებას, რომელიც მოიცავს:

ა) ერთობლივი მიზნობრივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც მიმართულია სტუდენტების/მოსწავლეების ცოდნისა და შემეცნების განვითარებისთვის.

ბ) ერთობლივი დისკუსიების, კონფერენციების, სემინარების, ლექციების, ფორუმების და სხვა აქტივობების განხორციელებას;

3.2. სტაჟირების უზრუნველყოფას.

3.3. სტუდენტების და ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობის წახალისებას.

JA Georgia | Member of JA Worldwide

3.2 თითოეული განსახორციელებელი აქტივობის დეტალები ექვემდებარება წერილობითი ფორმით დამატებითი შეთანხმების გაფორმებას, რომელიც წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4.2 მემორანდუმი შესაძლოა შეწყდეს ორივე მხარის ინიციატივით, ნებისმიერ დროს წინასწარ გაფრთხილების 3 თვიანი ვადის დაცვით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მათ დასრულებამდე.

4.3 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ "ჯუნიორ ეჩივმენტი-საქართველო"

ს/კ: 204997922
მის: საქართველო, თბილისი, ასმათის ქ. #19ა.
ტელ: (+ 995) 599 15 25 80
ვებ-გვერდი: www.jag.ge

აღმასრულებელი დირექტორი
ეკა გეგეშიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ს/კ: 245628496
მის: საქართველო, ბათუმი 6000,
ზ. გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას № 19/32
ტელ: (+995) 551 21 75 77
ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

რექტორი
თეიმურაზ კეჟერაძე